საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1371
02/03/2023

1371-21-2-202303021146

შპს „რივერსტოუნის“ დორექტორს
ბატონ იური გრაუდუმნიეკს
მის: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე;
დაბა ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა #7;
ელ.ფოსტა: contact@riverstone.ge;
ntact@riversstone.ge

ბატონო იური,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 16 იანვრის N234 განცხადება, რომელიც ეხება სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზდგ) წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების პარამეტრები, **კერძოდ:** ორგანიზებული და არაორგანიზებული მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების **X; - Y; კოორდინატები**, გაფრქვევის წყაროების **დიამეტრი** და **აირჰაერნარევი ნაკადის მოცულობითი და სწორხაზოვანი სიჩქარეები** მითითებულია არასწორად და საჭიროებს შესწორებას. აღნიშნული არასწორი მონაცემები ასევე ასახულია გამოყენებული ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა ,,ეკოლოგი 3.0“-ში, რომელიც პროპორციულად ახდენს გავლენას სპეციალურად შერჩეულ წერტილებში ზდკ-ს მაჩვენებლებზე და ცვლის მათ მნიშვნელობებს. გარდა ამისა, დანართში 5 (გამოთვლების შედეგები) ნაჩვენები მტვრის კონცენტრაციების განაწილების გრაფიკული გამოსახულების თანახმად, გაფრქვევის დამტვერიანების წყაროდან 100-120 მ რადიუსის წრეში მტვრის კონცენტრაცია მეტია ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე და იცვლება 1-1.5 ზდკ-ს ფარგლებში. აღნიშნული რადიუსის ფარგლებში ხვდება საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ასევე გზშ-ს ანგარიშთან მიმართებით) საჭიროებს გადამუშავებას/შესწორებას;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დამონტაჟებული იქნება SBM მარკის ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, თუმცა არაა მითითებული მისი საპასპორტო მონაცემები, რაც არ იძლევა დანადგარის ხმაურის პარამეტრების განსაზღვრის საშუალებას და გამოთვლების შედეგების შეფასებას. შესაბამისად, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარის შესახებ დეტალური ინფორმაცია (საპასპორტო მონაცემები);
- გზშ-ის ანგარიშში არ არის განხილული ნედლეულისა და პროდუქციის ჩატვირთვის, ჩამოცლის და ტრანსპორტირების დროს გამოწვეული ხმაურით ზემოქმედება, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ხმაურის დონის გამოთვლებისას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულ საწარმოს გენ-გეგმაზე აღნიშნული უნდა იყოს ხმაურდამცავი კედლების განთავსების ადგილები. ამასთან, ხმაურდამცავი კედლების მოწყობის გათვალისწინებით მოცემული უნდა იყოს შესაბამისი გამოთვლების შედეგების დაზუსტებული მონაცემები;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება იამზე კვირკველიას (ს/ნ 01008051410) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 46.02.45.172), რომლის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობა დღევანდელი მონაცემებით უფუნქციოა. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება კაპიტალური შენობა-ნაგებობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას საცხოვრებელი დანიშნულებით, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს მფლობელთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო